

შპს ძველი ქალაქი (ს/ნ 402067017)

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ძველი ქალაქი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ. N27/ანტონ კათალიკოსის ქ. N15, სართული 2. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ძველი ქალაქისა და მისი ორი შვილობილი კომპანიის შპს ტურიზმის (ს/ნ 404588479) და შპს კანტორის (ს/ნ 404588460) წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს ძველი ქალაქისა და მისი ორი შვილობილი კომპანიის შპს ტურიზმის და შპს კანტორის ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინფორმაცია შვილობილი კომპანიების შესახებ:

სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი (ხმის უფლების მქონე წილი)	
			31/12/2023	31/12/2022
შპს ტურიზმი	საკუთარი ქონების იჯარა	საქართველო	100%	100%
შპს კანტორი	საკუთარი ქონების იჯარა	საქართველო	100%	100%

ორივე შვილობილი კომპანიის 100%-იანი წილის შემენა მოხდა 2019 წლის 28 ნოემბერს.

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია შპს ძველი ქალაქის და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოებში შპს ძველი ქალაქის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შპს ძველი ქალაქის წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

გ) არ არსებობს არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ან წმინდა აქტივებში.

ამონაგების აღიარება

საქონლის მიწოდებიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველზე გადაცემულია საქონელი და მასზე საკუთრების უფლება. მომსახურების მიწოდებიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დასრულებულია მყიდველისთვის მომსახურების გაწევა. ამ დროს კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც მისი სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. გამონაკლისს წარმოადგენს დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან მიღებული უპროცენტო სესხი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის

ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდების განსაკუთრებული შემთხვევები). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები:

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

10-30 პროცენტი

თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის არამატერიალური აქტივი. მომავალში ასეთი აქტივის შეძენის შემთხვევაში იგი ასახული იქნება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება მოხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ

მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით და საკრედიტო ბარათებით, ასევე უნაღდო (საბანკო ანგარიშსწორების) ფორმით გადავადებული გადახდის პირობით. ამ დროს დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

2019 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით კომპანიას გაუჩნდა იურიდიული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო გადასახადი დაგროვებითი პენსიის სქემაში ჩართული თანამშრომლების სასარგებლოდ. ეს გადასახადი შეადგენს დარიცხული ხელფასის 2%-ს, რაც კომპანიისათვის დამატებითი ხარჯია, რომელიც აისახება სხვა (ადმინისტრაციულ) ხარჯებში.

შპს ძველი ქალაქის (ს/ნ 402067017) კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	კონსოლიდირებული		
		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	7485	14972	32470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	56704	46181	27227
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	14	1356	497	2381
მარაგები		1,114	1,324	2,456
მზა პროდუქცია	15	1114	1324	2456
სხვა		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
გუდვილი	18	994,954	1,160,779	1,326,605
სხვა არამატერიალური აქტივები	17	0	0	0
ძირითადი საშუალებები	16	3605426	3836001	4056541
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		4,667,039	5,059,754	5,447,680
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	19	75422	74129	92058
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	20	7756	27531	12030
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21	4238394	4178830	5615133
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	19	11536	10475	11583
სულ ვალდებულებები		4,333,108	4,290,965	5,730,804
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1602905	1346568	948320
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,268,974)	(577,779)	(1,231,444)
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		333,931	768,789	-283,124
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,667,039	5,059,754	5,447,680
სულ მოკლევადიანი აქტივები		7485	14972	32470
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0

შპს ძველი ქალაქის (ს/ნ 402067017) კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

მოგება-ზარალის ანგარიშგება

		კონსოლიდირებული	
	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3	809,888	956,978
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან		809888	956978
გაყიდვების თვითღირებულება		-75480	-79135
საერთო მოგება		734,408	877,843
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4	0	104
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	-109785	-85252
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი		-239162	-235497
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	9	-413682	-300175
იჯარის ხარჯი	6	-254	-254
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	-528636	-558799
სულ საოპერაციო ხარჯები		-1,291,519	-1,179,977
საოპერაციო მოგება		-557,111	-302,030
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	-131686	954967
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		-688,797	652,937
ოპერაციებიდან		-688,797	652,937
მოგების გადასახადის ხარჯი	10	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-688,797	652,937
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		0	0
გადაფასების რეზერვი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-688,797	652,937
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილები მთლიანი შემოსავალი		-688,797	652,937
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილები მთლიანი შემოსავალი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-688797	652937
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		768789	-283124
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	11	256337	398248
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-2399	728
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		333,931	768,789
		0	0

შპს ძველი ქალაქის (ს/ნ 402067017) კონსოლიდირებული

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა: 3

ამონაგები

	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	0	0
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	809,888	956,978
სულ	809,888	956,978

შენიშვნა: 4

სხვა შემოსავალი

	2023	2022
ძირითადი საშუალების გაყიდვის შედეგი	0	0
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	0	104
სულ	0	104

შენიშვნა: 5

დასაქმებულთა ანაზღაურება

	2023	2022
ხელფასები	(109,785)	(85,252)
სულ	(109,785)	(85,252)

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემული ანაზღაურება.

შენიშვნა: 6

საოპერაციო იჯარა

	2023	2022
იჯარის ხარჯი	(254)	(254)
სულ	(254)	(254)

კომპანიას საოპერაციო იჯარით აღებული აქვს ყავის მოსადუღებელი აპარატი, რომელსაც იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში. საიჯარო ქირის ხარჯად აღიარება ხდება წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში.

შენიშვნა: 7

სხვა ხარჯები

	2023	2022
სტუმრების მოზიდვის ხარჯი (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(130,576)	(130,576)
კომუნალური ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(60,928)	(60,928)
ბანკის მომსახურების ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(18,299)	(18,299)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(318,833)	(348,996)
სულ	(528,636)	(558,799)

ეს მუხლები აღიარებულია ხარჯად მოგებამდე დაბეგვრის განსაზღვრის მიზნებისათვის

შენიშვნა: 8**სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა**

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(131,686)	954,967
სულ	(131,686)	954,967

აღნიშნული განპირობებულია სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი მუხლების გადაფასების და კონვერტაციის შედეგად წარმოშობილ სხვაობებით გამოწვეულ მოგება/ზარალთან.

შენიშვნა: 9**ფინანსური შემოსავალი და ხარჯი**

	2023	2022
ფინანსური შემოსავალი	0	0
ფინანსური ხარჯი	(413,682)	(300,175)
სულ	(413,682)	(300,175)

ფინანსური ხარჯი განპირობებულია საბანკო სესხზე დარიცხული (გადახდილი) პროცენტის ხარჯით.

შენიშვნა: 10**მოგების გადასახადის ხარჯი**

	2023	2022
მოგების გადასახადი	0	0
სულ	0	0

შენიშვნა: 11**დივიდენდები**

	2023	2022
გაცემული დივიდენდი	0	0
კაპიტალის გაზრდა	256,337	398,248
სულ	256,337	398,248

დივიდენდი წარმოადგენს მესაკუთრეებზე განხორციელებულ განაცემს, რომელიც დაკავშირებულია მოგების განაწილებასთან. კაპიტალის დადებითი მნიშვნელობა წარმოადგენს მესაკუთრეთა მიერ განხორციელებულ შენატანს საწესდებო კაპიტალში, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობა დაკავშირებულია საწესდებო კაპიტალის შემცირებასთან.

შენიშვნა: 12**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	605	1,061
ფული საბანკო ანგარიშებზე	6,880	13,911
სულ	7,485	14,972

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

შენიშვნა: 13

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	52,306	41,783
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,398	4,398
სულ	56,704	46,181

შენიშვნა: 14

წინასწარ გადახდილი გადასახადები

	2023	2022
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა და მომსახურება	0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადი	1,356	497
სულ	1,356	497

შენიშვნა: 15

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
გასაყიდი საქონელი	1,114	1,324
სხვა სასაქონლო მარაგები	0	0
სულ	1,114	1,324

შენიშვნა: 16

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2022		4,253,161	197,109	37,225	198,205	4,685,700
შემოსვლა		-	-	284	8,304	8,588
გადაფასება						-
გასვლა		-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	4,253,161	197,109	37,509	206,509	4,694,288
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	-	(645,849)	(74,128)	(15,907)	(113,815)	(820,027)
პერიოდის ცვეთა	-	(177,545)	(21,841)	(4,257)	(35,519)	(239,162)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(823,395)	(95,969)	(20,164)	(149,333)	(1,059,189)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	-	3,607,311	122,982	21,318	84,390	3,836,001
31 დეკემბერი 2023	-	3,429,765	101,141	17,344	57,176	3,605,426

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი.

შენიშვნა: 17

არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა
31 დეკემბერი 2022	-
შემოსვლა	-
გადაფასება	
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	-
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	-
პერიოდის ცვეთა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	-
31 დეკემბერი 2023	-

კომპანიას არამატერიალური აქტივი არ გააჩნია.

შენიშვნა: 18

გუდვილი

	2023	2022
გუდვილი	994,954	1,160,779
სულ	994,954	1,160,779

შენიშვნა: 19

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	75,422	74,129
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,536	10,475
სულ	86,958	84,604

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილს წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულება. სხვა ვალდებულებები წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში მიღებული მომსახურების ღირებულებას, რომლის დაფარვაც ხდება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

შენიშვნა: 20

საგადასახადო ვალდებულებები

	2023	2022
საბიუჯეტო გადასახადი	7,756	27,531
სულ	7,756	27,531

საბიუჯეტო გადასახადი მოიცავს ერთიან სახაზინო კოდზე გადახდილ ყველა გადასახადს.

შენიშვნა: 21

სესხები

	2023	2022
ბანკის სესხი	4,238,394	4,178,830
სხვა სესხი	0	0
სულ	4,238,394	4,178,830

სესხი წარმოადგენს ბანკის სესხს (1430000 EUR), რომელიც აღებული იყო 31/10/2023-ში წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.00%. ამ სესხით გადაიფარა წინა სესხის დარჩენილი ნაწილი. სესხის დაფარვა განსაზღვრულია 08/11/2033-სთვის.

შენიშვნა: 22

საწესდებო კაპიტალი

2023 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1602905 ლარს.

შენიშვნა: 23

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 24

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს მმართველ რგოლსა და უმაღლესი რანგის მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს **83291** ლარს.

შენიშვნა: 25

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 მარტს.

უფლებამოსილი პირი:

დირექტორი

/ ვანო გარსევანიშვილი /

შენიშვნა: 21

სესხები

	2023	2022
ბანკის სესხი	4,238,394	4,178,830
სხვა სესხი	0	0
სულ	4,238,394	4,178,830

სესხი წარმოადგენს ბანკის სესხს (1430000 EUR), რომელიც აღებული იყო 31/10/2023-ში წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.00%. ამ სესხით გადაიფარა წინა სესხის დარჩენილი ნაწილი. სესხის დაფარვა განსაზღვრულია 08/11/2033-სთვის.

შენიშვნა: 22

საწესდებო კაპიტალი

2023 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1602905 ლარს.

შენიშვნა: 23

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 24

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს მმართველ რგოლსა და უმაღლესი რანგის მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს 83291 ლარს.

შენიშვნა: 25

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 მარტს.

უფლებამოსილი პირი:
დირექტორი

/ ვანო გარსევანიშვილი /

